

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

გიორგი მომცელიძე
Giorgi Momtselidze

იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილება
The Political Dimension of Juvenology

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა
Educational programme: Public Administration

დისერტაცია წარდგენილია საჯარო მმართველობის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Public
Administration

რეზიუმე
Abstract

თბილისი
Tbilisi

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი მომცელიძე

იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილება

საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა

დისერტაცია წარდგენილია საჯარო მმართველობის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
მიხეილ გოგატიშვილი,
ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და
პოლიტიკის სკოლის საატესტაციო - საექსპერტო
კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(ადმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	1
ლიტერატურის მიმოხილვა	7
კვლევის შედეგები	17
განსჯა და მეცნიერული მიგნებები	19
დასკვნა - რეკომენდაციები	24

შესავალი

მსოფლიოში სახელმწიფოთა არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა თაობათა შორის ურთიერთობებზე. სწორედ ამ ურთიერთობის მიზანმიმართულ და სრულფასოვან წარმართვაზე იყო დამოკიდებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარება, სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების ეტაპობრივი მშენებლობა, თაობებს შორის ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრება, სოციალური კეთილდღეობის ჩამოყალიბება. ქვეყნებისთვის ამ იდეალურად მიჩნეული ჰუმანური მიზნების ცხოვრებაში გაუტარებლობა ყოველთვის განაპირობებდა თაობებს შორის უთანხმოების ჩამოგდებას. დროის სწრაფ დინებასთან მიმართებაში საზოგადოებრივ პოზიციათა შეუსაბამობა არაერთხელ გამხდარა სოციალური თუ იდეოლოგიური აფეთქებებისა და რევოლუციების მიზეზი, რომელთა წამომწყები, ძირითადად, ახალგაზრდა თაობა იყო.

ახალგაზრდობა ყოველთვის გამოდიოდა ახალი იდეების მქადაგებლად და ძველი ტრადიციების განახლების ინიციატორად, რაც ყოველთვის აისახებოდა სახელმწიფოთა მდგრად განვითარებაზე. ზემოთ დასახული სახელმწიფოებრივი მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო პირობები თაობათა შორის მხოლოდ სინთეზური ურთიერთობების საფუძველზე იყო შესაძლებელი, რისი არაერთი თვალსაჩინო მაგალითი მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში.

სწორედ სინთეზური ურთიერთობის ძირითადი ღერძი უფროსი თაობიდან უმცროსი თაობისათვის ცოდნის, დაგროვილი გამოცდილებების გადაცემაში მდგომარეობდა. შეუთავსებლობის ფაქტორი თავს იჩენდა მხოლოდ მაშინ, როცა ბიოლოგიურად მომწიფებული ახალგაზრდა თაობა თვისობრივად განსხვავებულ იდეოლოგიურ და

მენტალიტეტურ ელემენტებს შეიძენდა კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური ღირებულებების გადაფასებისათვის.

განსხვავებულ პოზიციათა დაფიქსირებამ, ახალგაზრდობის მხრიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მასშტაბების ეტაპობრივმა ზრდამ, განაპირობა ახალგაზრდული ხასიათის საზოგადოებრივი სისტემების ფორმირება, დაწყებული არაფორმალური და არალეგალური წრეებიდან და ჯგუფებიდან – დღევანდლობამდე, არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ორგანიზაციათა გაერთიანებების ჩათვლით, რომელთა ქმედითუნიანიანობა ყოველთვის აისახებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, რაც ხშირ შემთხვევაში უკავშირდებოდა როგორც სოციალურ-ეკონომიურ, ასევე გლობალურ სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს. თანამედროვე ცხოვრების ეტაპებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა ახალგაზრდული საზოგადოებრივი სისტემების ფორმირებას, მათ სამართლებრივ, პოლიტიკურ და მართვის თვალსაზრისით რეგულირებას, საზოგადოების ფართო წრეებთან ახალგაზრდობის იდეურ და ფუნქციურ სისტემატიზაციას როგორც ეროვნულ დონეებზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზეც.

ახალგაზრდობაში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა, ამ პროცესების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შექმნამ, დღის წესრიგში დააყენა საკითხი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და რეგულირების მექანიზმების ამოქმედებისა, რაც უნდა გამოიხატოს და საწყის ეტაპზე უკვე გამოიხატა ინსტიტუციონალური განვითარების თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს როგორც სახელმწიფო სტრუქტურები (ახალგაზრდობის სააგენტო, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი, ასევე არასამთავრობო სექტორი და ორგანიზაციათა გაერთიანებები). უნდა აღინიშნოს ის არსებითი პრობლემა, რაც ცალკეული

ინსტიტუტების განვითარებას უშლის ხელს. ეს პრობლემა სამართლებრივი ბაზის მოუქნელობაა და, შესაბამისად, თეორიული საფუძვლების არალეგიტიმურობაა. ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული, რაც დაკავშირებულია სექტორული ურთიერთობის დარეგულირებასთან.

ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემაში შემაჯავლი სექტორების პრაქტიკული საქმიანობა ძირითადად რეგულირდება საერთო დანიშნულების კანონებით. ცალკეული პროფილური საკანონმდებლო აქტების უქონლობის შემთხვევაში, საქმიანობა წარმართება შიდაორმატიულ აქტებსა და ორგანიზაციათა წესდებებზე დაყრდნობით, რაც ფუნქციათაშორის ურთიერთგადალახვის წინაშე გვაყენებს, თუმცა სექტორების სუბიექტების მხრიდან დასახული მიზნების პრაქტიკული რეალიზაცია საზოგადოების განვითარების საქმეში ახალგაზრდული პოლიტიკაა და ამ პოლიტიკაში ჩართული სტრუქტურები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მის განვითარებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდულმა პოლიტიკამ, პოლიტიკური მეცნიერებებისთვის ღირებული გახადა და დღის წესრიგში დააყენა ამ სფეროს მეცნიერულ-თეორიული საფუძვლებითა და ინოვაციებით უზრუნველყოფა.

აღნიშნული სფერო ახალგაზრდული პოლიტიკის სახით, წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ხერხემალს, რომელიც ემიჯნება სხვადასხვა სფეროს: პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციალური კულტურის და ა.შ. სწორედ ამ სფეროებთან ურთიერთობის კვალობაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდულ პოლიტიკას, როგორც სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთ ფაქტორს, რადგან იგი წარმოადგენს ახალგაზრდა თაობაზე ორიენტირებულ დარგს, რომელიც ითვალისწინებს

ახალგაზრდობის აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, ახალგაზრდობის აღზრდასა და განვითარებას, მათი მოსაზრებების ცხოვრებაში დანერგვასა და ინტერესების გათვალისწინებას, სახელმწიფო ინსტიტუტებში ახალგაზრდობაზე ორიენტირებული, მიზანმიმართული, სწორი საკადრო პოლიტიკის წარმართვას, მომავალი თაობის სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, ახალგაზრდობის დასაქმებას, მათ მომზადებას საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სამეცნიერო, სამეურნეო, კულტურულ ასპარეზზე გამოსასვლელად და პროფესიული ორიენტირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. აღნიშნული ფაქტორების პრაქტიკული რეალიზაცია ახალგაზრდული პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულებაა, რისი განხორციელების აუცილებელი პირობაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულყოფილი სამართლებრივი ინსტიტუციონალური საფუძვლების არსებობა, რომლის სრულყოფისა და განვითარების საკითხებსაც ეძღვნება აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი.

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის ღრმა მეცნიერული ანალიზის აუცილებლობა მიმდინარე ეტაპზე ნაკარნახევია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მოთხოვნილებებით, ქვეყანაში არსებული რთული სიტუაციით, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მომხდარი კარდინალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებით, რაც პირდაპირ აისახა ახალგაზრდობაზე.

სადისერტაციო კვლევის ძირითად პრობლემას წარმოადგენს როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე სახელმწიფო მმართველობაში ახალგაზრდულ პოლიტიკასთან მიმართებით არათანმიმდევრული და ზერეულე დამოკიდებულება.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს იუვენოლოგიის საჯარო პოლიტიკური განზომილება. გვინდა, ყურადღება

გავამახვილოთ იუვენოლოგიის პოლიტიკური ასპექტების მრავალგანზომილებიან შრეებზე, რომლებიც თავს იყრიან იუვენოლოგიის საჯარო პოლიტიკურ განზომილებაში.

კვლევის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, საქართველოში საფუძველი დაუდოს ინტერდისციპლინარულ დარგს - იუვენოლოგიას. ეს არის მეცნიერება ახალგაზრდობის შესახებ. ტერმინს საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა Juventilis - ახალგაზრდობა და ბერძნული სიტყვა Logos - ცოდნა. იუვენოლოგია კომპლექსურად შეისწავლის ახალგაზრდობას. ის წარმოადგენს ახალ სამეცნიერო პარადიგმას.

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას იუვენოლოგიის კონცეპტუალური და სამეცნიერო აპარატის თავისებურება და სოციალური ინდიკატორები ახალგაზრდობის ფენომენის ცალკეული ასპექტის შემსწავლელი დარგების კონტექსტში, დასაბუთდეს იუვენოლოგიის, აქტუალიზაციის აუცილებლობა, როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისათვის კომპლექსური მეცნიერული საფუძვლების უზრუნველყოფის შესაძლებლობა, შემუშავდეს რეკომენდაციები ამ დარგის დამკვიდრებისა და გამოყენებისათვის საქართველოს სინამდვილეში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული პოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მიმართულების, სისტემურ განვითარებას, ეფექტიანი თეორიული და პრაქტიკული მოდელების ჩამოყალიბებას.

იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილების ამოცანებია:

1. საქართველოს ახალგაზრდული ცხოვრებისა და პოლიტიკის გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბდეს და დასაბუთდეს იუვენოლოგიური პრობლემების დაკვირვებისთვის სპეციალური მეთოდოლოგია.

2. განისაზღვროს იუვენოლოგიური კვლევის სტრუქტურული დაკვირვების მეთოდების თავისებურება.
3. იუვენოლოგიის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ახალგაზრდობის პოლიტიკასა და საჯარო მმართველობით სისტემაში სპეციფიკური მიმართების ფორმების და ფენომენების გამოვლენა, ახალგაზრდული ცხოვრების შიდა სისტემური დიფერენციაცია.
4. სახელმწიფოს, როგორც ახალგაზრდობის ფენომენისადმი დამკვირვებლის მექანიზმების გამოვლენა და ანალიზი. სტრუქტურული ნაკლოვანებები და გამართულობა;

ჰიპოთეზა

ახალგაზრდობა საზოგადოების ყველაზე ჯანმრთელი და მობილური ნაწილია. ის განუსაზღვრელი ფიზიკური და ინტელექტუალური ენერჯის მატარებელია, რომელიც ბუნებრივად ითხოვს მატერიალიზებას. იმაზე, თუ რა მიმართულებით წარიმართება ეს ენერჯია, - დამოკიდებულია ქვეყნის საზოგადოებრივი მოდელი, მისი სტრუქტურის ფორმირება თუ კორექტირება, ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის სოციალური სტატუსის, სოციალური როლისა და სოციალურ-კულტურული ქცევის ფორმირება თანამედროვე საკაცობრიო ღირებულებების შესაბამისად. ამის უზრუნველყოფა, თავის მხრივ, მოითხოვს ერთიანი ახალგაზრდული პოლიტიკის განსაზღვრას თანამედროვე მეცნიერული მიდგომების საფუძველზე, რაც დღეისათვის, პრაქტიკაში, თითქმის არ შეინიშნება. ამ ხარვეზის აღმოფხვრას, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს იუვენოლოგიის, როგორც მეცნიერების, ინტერდისციპლინური სფეროს თანამედროვე მიდწევების გამოყენება, რომელიც მეცნიერულ პლატფორმას შექმნის ახალგაზრდობის ფენომენის მულტიფაქტორული დაკვირვებისა და სისტემური გააზრებისათვის, მისი კვლევისა და შედეგების პრაქტიკული გამოყენებისათვის.

კვლევის პროცესში შევცდებით პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: 1. რომელი მეცნიერებები სწავლობენ ახალგაზრდობის საკითხს? 2. რა მეცნიერული კვლევები არსებობს ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით? რამდენად მკაფიოდაა გამოხატული ახალგაზრდობის მონაწილეობა საჯარო პოლიტიკაში? შესაძლებელია თუ არა ახალგაზრდული პოლიტიკის როლის ანალიზი საჯარო პოლიტიკის სფეროში? რა მიმართულებებისგან შედგება ახალგაზრდული პოლიტიკა?

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის მიზანს წარმოადგენს იუვენოლოგიის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ჭრილში განხილული პერსპექტივების განხილვა. თუ როგორ არის წარმოდგენილი კვლევებში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის არსი, რაობა, დღევანდელი და მომავლის პერსპექტივები.

მიმოხილვის ამოცანაა გავანალიზოთ და გამოვყოთ ის უმთავრესი ლიტერატურა, რომელსაც დავეყრდენი თეორიული კონცეპტების წარმოსადგენად.

- ლიტერატურის მასივი და შედგენილობა:

საკვლევ თემასთან დაკავშირებით ლიტერატურის ძირითად მასივს წარმოადგენს საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმატიული აქტები, გაეროს მოხსენებები, კონცეფციები, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, პრესა და მას-მედია, ადგილობრივი და უცხოური სამეცნიერო კვლევები. ლიტერატურის მასივს ასევე მოიცავს დარგის ექსპერტების მოსაზრებები, პუბლიკაციები, ინტერვიუები, საჯარო მოხსენებები.

ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოვკვეთე სადოქტორო კვლევასთან რელევანტური წყაროები და სამეცნიერო ნაშრომები. შესაბამისად - ლიტერატურა, რომელიც მიმოხილულია უშუალო კავშირშია საკვლევ საკითხთან.

სადოქტორო თემის ირგვლივ განხილული საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმატიული აქტები, მოხსენებები, კონცეფციები, სტატისტიკური მონაცემები, პრესა და მას-მედია, ადგილობრივი და უცხოური სამეცნიერო კვლევები - იქნა დამუშავებული, გამოიყო ვალიდური კვლევები, რომელიც ფუნდამენტურად იქნა დამუშავებული და გაანალიზებული.

სადისერტაციო კვლევის თემატურ ველს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა. წინარე კვლევისგან განსხვავებით, თემატური ველი დავიწროვდა და კონკრეტულად საქართველოს მასშტაბზე შევჩერდი. საკვანძო სემინტებს წარმოადგენს ახალგაზრდულ პოლიტიკაში მოთამაშე ობიექტები. საკვანძო საკითხებს წარმოადგენს მათი ქმედებები ფრონტის ხაზზე. წარმოდგენილია ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება დინამიკაში.

როგორც თავში აღვნიშნე არსებული თეორიული ბაზისი, რაც ეხება აღნიშნულ საკვლევ თემას, საქართველოს რეალობაში ძალზედ მწირია. ისტორიული რაკურსი მიკერძობებული და სუბიექტურად განხილულია (ეხება საბჭოთა პერიოდის საქართველოს), აქედან გამომდინარე გადაიხედა და შესაბამისად კრიტიკულ ჭრილში შეფასდა არსებული სამეცნიერო კვლევები, ხოლო თანამედროვე პერიოდის კვლევები აღნიშნულ საკითხებზე პრაქტიკულად არ არსებობს.

არსებული კვლევებისა და მეცნიერული მიდგომების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე პრიორიტეტული მიმართულება - ა) სახელმწიფოს როლი ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირების პროცესში; ბ) ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის თემიდან გამომდინარე კვლევის მეთოდოლოგიური მექანიზმი მრავალმხრივია, ის მოიცავს – სავლეს სამუშაოებს (სოციოლოგიურ კვლევას), ნარატიულ ინტერვიუებს, ისტორიულ-კომპარატივისტულ მეთოდს, სამართლებრივი დოკუმენტაციის ანალიზს, კონტენტანალიზს.

კვლევის ტიპი არის შერეული (არსებული ცოდნა, საძიებო, პრობლემების გადაწყვეტა).

კვლევის სტრატეგია შერჩეულია თვისობრივი, სოციალური კვლევა.

კვლევის უშუალო ობიექტს წარმოადგენს – საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა იუვენოლოგიის ჭრილში.

დამოუკიდებელი ცვლადები: პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთა, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, სტუდენტური კავშირები და სხვ.

დამოკიდებული ცვლადი: სახელმწიფო სტრუქტურები (პარლამენტის განათლების და ახალგაზრდობის საკითხთა კომიტეტი, საქართველოს განათლების და მეცნიერების, სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და კულტურის სამინისტრო, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო და სხვ.).

ინფორმაციის წყარო – საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ჩარჩო ხელშეკრულებები, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები და თანამედროვე მასმედიის ანალიზი საქართველოში.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

- იუვენოლოგიის კვლევის კონტექსტში ემპირიული მასალის მოპოვება, მასზე დაკვირვება და სისტემატიზაცია.

- მასალის ანალიზი-დაყოფა და მათ შორის იუვენოლოგიის, როგორც ცალკე დარგის მიმართებათა დადგენა.
- კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგის სინთეზი-ინტეგრაცია და ინტერპრეტაცია.

აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართული და უცხოური ნაშრომები, პუბლიკაციები და ელექტრონულად ხელმისაწვდომი წყაროები, ხოლო კვლევის მეთოდოლოგიური ნაწილი განხორციელდა შედარებითი და ისტორიული ანალიზის, ნარატიული (კონტენტ-ანალიზის), დისკურსული, დესკრიფციული, კრიტიკული და სისტემური მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენებით/საფუძველზე.

შედარებითი და ისტორიული ანალიზის მეთოდი - წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი და ისტორიული ანალიზის მეთოდები, რომელიც გულისხმობს იუვენოლოგიური პრობლემატიკის საჯარო მართველობის და პოლიტიკურ ასპექტში შესწავლას (ფორმები, ხერხები და მიდგომები) და ისტორიული ანალიზის მეთოდი გამოყენებულ იქნა საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის და მათი სახელმწიფოსთან ურთიერთობის განვითარების გარკვეული ისტორიული ეტაპებისა და პერიოდების შესასწავლად. აღნიშნული მეთოდის მიზანი გახლდათ კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენასა და მისი მოგვარებისთვის საჭირო რეკომენდაციებისთვის.

კვლევის პროცესში, 2001-2020 წლებში დამუშავებულ იქნა როგორც ქართველი მეცნიერების, ასევე უცხოელი მკვლევარების 165 სამეცნიერო შრომა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მკვლევართა ნაშრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია საბჭოეთის მმართველობის

პერიოდში და რომ დაეკმაყოფილებინა ცენზურის ინტერესები, ნაკლები გულახდილობითაა გადმოცემული ის სინამდვილე, რაც არსებობდა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებსა და საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ მასალებზე დაყრდნობით და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია ისტორიული მონახაზი ქართველი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ანტიკოლონიზატორულ პოლიტიკაში და განხილულია ის გარემოებები, თუ როგორი დამოკიდებულება იყო მეფის ხელისუფლების, ქართველი ახალგაზრდობის მიმართ. ასევე აღნიშნულმა მეთოდმა მეტი სიცხადე მოგვცა ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ 1918-1921 წლებში, როდესაც ყალიბდება ახალგაზრდული ორგანიზაციების ფართო სპექტრი.

ნაშრომში განხილულია 1921-1990 წლებში საბჭოთა სისტემის მხრიდან ახალგაზრდობის ინდოქტრინაციის საკითხი, მათი „საბჭოთა ადამიანებად“ ჩამოყალიბება, სოციალური მობილიზაციის ისეთი ფორმები, რომელიც საბჭოთა სისტემის მომხრეებად ზრდიდა. როგორ მიმდინარეობდა საბჭოთა მოქალაქისადმი დამახასიათებელი სისტემური ცნობიერების ფორმირება.

კვლევის პროცესში შედარებითი და ისტორიული ანალიზის მეთოდის საშუალებით დამუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული გაზეთები 1900-იანი წლებიდან მოყოლებული. გაანალიზდა 200 ზე მეტი სტატია, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდობას. ასევე დამუშავდა ელექტრონული ჟურნალები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ელ. მატარებლებზე.

ასევე ნაშრომში მოვახდინეთ არსებულ ინსტიტუციურ სტრუქტურასა და მანამდე არსებულ სისტემას შორის შედარებითი ანალიზი.

დოკუმენტების შესწავლა - საკითხის შესწავლისთვის გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის (desk study) მეთოდი, კვლევის პროცესში დამუშავდა საარქივო დოკუმენტები. მათ შორის ისეთი წყაროები, რომლებიც ჯერ არც ერთ სამეცნიერო ნაშრომში არ არის ასახული. ეს ფაქტორი გაცილებით საინტერესოს ხდის წინამდებარე ნაშრომს და ხაზს უსმევს მის ორიგინალურობას. დოკუმენტების სიღრმისეულმა კვლევამ, საშუალება მოგვცა მიკერძოებული ლიტერატურისგან განსხვავებით (მხედველობაში მაქვს საბჭოთა მკვლევარების სამეცნიერო შრომები) ზუსტ ფაქტებზე და მოვლენებზე გავსულიყავით. შესაბამისად აღნიშნული მეთოდი ნათელს ფენს და დაინტერესებულ საზოგადოებას წარმოუდგენს იმ სურათს, რომელიც რეალურად ასახავს XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის მიმდინარეობას. კვლევის პროცესში დამუშავებულ იქნა საქართველოს ცენტრალური არქივის ისტორიული ფონდები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, საქართველოს პრეზიდენტის არქივი. 2001 წლიდან დღემდე კვლევის შედეგად დამუშავდა 478 ხელნაწერი, თუ ნაბეჭდი დოკუმენტი.

კვლევის ჩატარების პროცესში, 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, დამუშავდა როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, რომლებიც ეხება ბავშვთა და არასრულწლოვანთა შესახებ (14 სამთავრობო დადგენილება და პრეზიდენტის ბრძანებულება) და ახალგაზრდობის საკითხებს (1994-2020 წლების 58 სამთავრობო დადგენილება და პრეზიდენტის ბრძანებულება). საერთაშორისო, ადგილობრივი არასამთავრობო და სამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების წესდებები და დებულებები. ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები ახალგაზრდულ პოლიტიკასთან მიმართებაში (დამუშავდა 22 დოკუმენტი).

ნარატიული ანალიზის მეთოდი, რომელიც დისკურსულ და კონტენტ-ანალიზის მეთოდთან ერთად, სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდს წარმოადგენს, გამოვიყენე ტექსტური ინფორმაციის ანალიზში. (სიღრმისეული სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუები).

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ექსპერტებთან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია საკვლევ სფეროში, აგრეთვე საჯარო მოხელეებთან, რომლებიც ჩართული არიან პოლიტიკის შემუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესში, რამაც საშუალება მოგვცა უშუალოდ პირველწყაროდან მიგველო დეტალური ინფორმაცია საკვლევ საკითხის შესახებ.

კვლევის პროცესში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ დარგის 10 ექსპერტთან; დარგობრივი ინსტიტუციების 10 მოხელესთან; 7 არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან; პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის 5 წარმომადგენელთან; საერთაშორისო ორგანიზაციების 2 წარმომადგენელთან.

ეთიკური მოთხოვნების დაცვის საკითხი გათვალისწინებულ იქნა ემპირიული კვლევის ყოველ ეტაპზე. კვლევის თითოეული ეტაპი მიმდინარეობდა შეთანხმებების, ნებართვების აღების, ინფორმირებულობის, მჭიდრო კომუნიკაციის, კონფიდენციალობის დაცვის, მაქსიმალური თავისუფლების, სანდო და კეთილგანწყობილ გარემო პირობებში.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება და კლასიფიცირება განხორციელდა შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის მოთხოვნების დაცვით, კვლევის მიზნების შესაბამისობის გათვალისწინებით. თვისებრივი მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის საშუალებით. განხორციელდა ინტერვიუს ჩანაწერის ტრანსკრიპტის გაკეთება. დაცული იქნა მონაცემები სანდოობის და ვალიდურობის მოთხოვნები. განხორციელდა ტექსტის გაანალიზება, გარჩევა და შეჯამებული

სახით წარმოდგენა. აღნიშნულის განსახორციელებლად მოხდა წინასწარ არსებული კატეგორიებისა და ტექსტზე მუშაობის პროცესში გამოკვეთილი თემების განსაზღვრა. კოდირების, კატეგორიზაციის, შედარებისა და დასკვნის საშუალებით განხორციელდა ტექსტიდან თეორიული დასკვნების გამოტანა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და მიგნებები გამოყენებულ იქნა რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

სიღრმისეული ინტერვიუები განხორციელდა თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიის მოთხოვნების მიხედვით. რესპოდენტთათვის შექმნილი იყო თავისუფალი და მოქნილი პირობები. წინასწარ იქნა შემუშავებული სადისკუსიო გეგმა - კითხვების მონახაზი, რაც მნიშვნელოვანია ინტერვიუს პროცესის სამართავად. კვლევისას ყურადღება გამახვილდა სიღრმისეული ინტერვიუების ფაზებზე - პრეინტერვიუ, ინტერვიუ და პოსტინტერვიუ. განხორციელდა რესპოდენტისთვის საკვლევი თემის და კვლევის მიზნის გაცნობა, მისი შერჩევის მოტივები, განმარტებული იქნა კონფიდენციალობის საკითხები და მისგან იქნა მიღებული ნებართვა ინტერვიუს ჩანაწერის გაკეთებაზე. ყურადღება იქნა გამახვილებული ინტერვიუს პროცესში ინტერპერსონალურ, ინტერაქციულ, კომუნიკაციურ და ემოციურ ასპექტებზე. აღნიშნული ინტერვიუების მთავარი ამოცანა გახლდათ , რომ შეგვესო ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ საინფორმაციო ვაკუუმი, რომელიც წარმოქმნილია 1991 წლიდან დღემდე. საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს სამეცნიერო შრომები ამ მიმართულებით. დარგის ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუები დაგვეხმარა საკითხის ჰოლისტურად გააზრებაში.

ინტერვიურებისა და კვლევის პროცესში გამოკვეთილ იქნა საკვლევი ცვლადების მნიშვნელობა, აქედან გამომდინარე, კვლევის პროცესში ნარატიულ და ჩაღრმავებულ ინტერვიუებთან ერთად, განხორციელდა მასმედიაში გამოქვეყნებული „ შინაარსობრივი ცვლადები“, რომელიც

მიუთითებდა იუვენოლოგიური კვლევის სტრუქტურულ ფუნქციებზე. ამ კონტექსტიდან გამომდინარე გაანალიზებულ იქნა საჯარო მოხელეებისა და დარგის მინისტრების საპარლამენტო გამოსვლები თანამდებობებზე რატიფიცირების დროს. 2016-2020 წლებში. ასევე განხორციელებული იქნა სავლე სოციოლოგიური გამოკითხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში: თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი - სადაც, გამოკითხვის საფუძველზე შესწავლილ იქნა ახალგაზრდული პოლიტიკის ინფორმირების საკითხი სტუდენტ-ახალგაზრდებში. გამოკითხულ იქნა 200 სტუდენტი, (ყველა ქალაქში 40 სტუდენტი), კითხვის ფორმულირება იყო შემდეგი: „ფლობთ თუ არა ინფორმაციას ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ“ ?

სინქრონიული და დიაქრონიული მეთოდი - საკვლევი საკითხი შესწავლილი იქნა მისი როგორც სივრცობრივი, ასევე ისტორიული განვითარების კუთხით. საკვლევი თემატიკის სინქრონიული შესწავლისას, ძირითადი ყურადღება დაეთმო სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოებისას ეროვნულ დონეზე არსებული მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემო-ფაქტორების გაანალიზებას, ხოლო დიაქრონიული შედარების პროცესში უზრუნველყოფილი იქნა წინამდებარე თემატიკის შესწავლა ისტორიულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ კონტექსტში.

გამოყენებული მეთოდის საფუძველზე გამოკვეთილ იქნა იუვენოლოგიის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის განზომილების სისტემური სტრუქტურა. განხორციელებული მეთოდებით კვლევა ხაზს უსვამდა იუვენოლოგიის, როგორც მოძღვრება ახალგაზრდობის შესახებ - სტრუქტურულ თავისებურებებს, რომელიც წარმოქმნილი პრობლემების განსხვავებულ კონცეპტუალურ სისტემაში აღწერას მოითხოვდა.

ჰოლოგრაფიული ანალიზი - ნაშრომში გამოყენებული იქნა ჰოლოგრაფიული ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს საკვლევი საკითხის კერძოდ საქართველოს მაგალითზე იუვენოლოგიის საჯარო მართველობის და პოლიტიკური განზომილების, როგორც მთლიანი პროცესის ანალიზს მის ყველა გამოვლინებაში. აღნიშნული მეთოდის საშუალებით, გამომჟღავნდა ერთი მხრივ, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და მეორე მხრივ, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული მოძრაობების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება.

დისკურსული ანალიზის მეთოდის საფუძველზე მოხდა გარკვეული ტიპის სოციალური იუვენოლოგიური დისკურსულ-პოლიტიკური პრაქტიკების რეკონტექსტუალიზაცია, რაც მოიცავს არა მარტო იუვენოლოგიური ნარატივების კონტენტ-ანალიზს, არამედ მასობრივ ცნობიერებაში ახალგაზრდული პოლიტიკის გაცოცხლებას და სხვაგვარ კონტექსტში წარმოდგენას.

დესკრიფციული მეთოდი - წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნა დესკრიფციული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკვლევი საკითხის ყოვლის მომცველ აღწერას სხვადასხვა ავტორების, მკვლევარების, კრიტიკოსების და მედია საშუალებების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, ნაშრომის ფორმატის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდის საფუძველზე გამოვლენილი იქნა იუვენოლოგიის უზრუნველმყოფელი ცალკეული სტრუქტურული ცვლადები, რომელიც საშუალებას იძლეოდა პრობლემის ერთიან კონცეპტუალურ სქემაში გაერთიანების, კერძოდ იუვენოლოგიის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკური განზომილების სტრუქტურაში.

კრიტიკული ანალიზი - კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ობიექტური დისტანცირება მოგვეხდინა საკვლევ მასალებთან მიმართებაში, რათა კვლევის ფორმატი გამხდარიყო ხელოვნური, ნამალადევი და თავს მოხვეული

საკვლევ ობიექტთან მიმართებაში. კვლევაში გამოყენებული კრიტიკული ანალიზის მეთოდი აღნიშნული საკვლევი საკითხის მიმართ, იუვენოლოგიის კონცეპტუალურ სტრუქტურა თავსებადი გახადა რეალობაში არსებულ გამოწვევების შეფასებების და შენიშვნების ფორმებთან. აქედან გამომდინარე, განსაზღვრული იქნა სხვადასხვა ეტაპზე, საკვლევი საკითხის მიმართ არსებული მოსაზრებების მიზანშეწონილობა, კრიტიკული ანალიზი, აღნიშნული საკვლევი თემატიკის მოცემულობა და მისი მნიშვნელობა.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა იუვენოლოგიის, როგორც საჯარო მართველობის სტრუქტურის პოლიტიკური განზომილების სისტემა. აქედან გამომდინარე სრულიად მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს იუვენოლოგია როგორც ცალკე სამეცნიერო-კვლევით დარგად, რომელიც ახალგაზრდობის სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს იკვლევს. მოცემული შედეგი მიღწეული იქნა საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის ჩამოყალიბების სათავეების ისტორიულ-სოციალური ფესვების ანალიზის საფუძველზე. იუვენოლოგიური პრობლემების კვლევა საქართველოს მაგალითზე, თავისებური სპეციფიკით გამოირჩევა. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაშრომში გაანალიზებული იქნა ახალგაზრდული პოლიტიკა 1870-ნი წლებიდან დაწყებული დღევანდელდობის ჩათვლით. თავდაპირველად ახალგაზრდულ მოძრაობებს აკლდა ორგანიზებულობა. არ არსებობდნენ ახალგაზრდული ორგანიზაციები (მოგვიანებით იქმნება მოსწავლეთა კომიტეტები), მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნები იყო: აჯანყებები, გამოსვლები. გაფიცვები, მანიფესტები, რომლებიც ძირითადად ფეთქებად სახეს ატარებდა და აკლდა ორგანიზება.

ახალგაზრდული პოლიტიკის მეორე ეტაპზე იწყება ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობის და იდეოლოგიის განსაზღვრა. მმართველი თუ ოპოზიციური პარტიების გვერდით დგანან „დედა“ პარტიების ძირითადი დასაყრდენი ახალგაზრდული ორგანიზაციები. დამოუკიდებელ სახელმწიფოში ახალგაზრდული პოლიტიკა თავის სიტყვას ამბობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პერიოდშივე ვხვდებით ახალგაზრდული პოლიტიკის დაპირისპირებულ ბანაკებს, რაც მკვეთრად აისახება სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. 1918-21 წლების ახალგაზრდულ პოლიტიკაზე ცნობები ნაკლებად ობიექტური და მწირია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის არც ერთი მკვლევარი არ აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ თუ მე-19 საუკუნის ბოლოს ახალგაზრდული პოლიტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მანიფესტებით, გაფიცვებით და ა.შ. 1917-18 წლებში იწყება ახალგაზრდული მოძრაობების განვითარება და მეტ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ყველა მეცნიერი ერიდება გამოიყენოს ტერმინი ახალგაზრდული პოლიტიკა, არადა ეს ცნება აუცილებლად შეესატყვისება იმ მოვლენებს, რაც ხდებოდა 1918-21 წლებში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იუვენოლოგიის პოლიტიკურ განზომილებას საბჭოთა კავშირი უთმობს დიდ ყურადღებას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მე-3 ეტაპის კვლევის შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა მმართველობის პერიოდში, გამოიკვეთა, თუ როგორ მიმდინარეობდა ახალგაზრდობის მობილიზაცია დიქტატორული რეჟიმის დასამყარებლად და მის ხელშესაწყობად. გამოვლინდა ახალგაზრდობის მასობრივი რეპრესიების, ახალგაზრდული ორგანიზაციების თვითლიკვიდაციის ფაქტები. ასევე ხაზი გაესვა ახალგაზრდობის იდეოლოგიზაციის და იდოქტრინაციის საკითხს, როგორც იყო პიონერია და კომკავშირი. ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდობის როლზე იმ მოვლენებში,

როგორც იყო 1956 წლის 9 მარტი, 1978 წლის 14 აპრილი, 1989 წლის 9 აპრილი.

ახალგაზრდული პოლიტიკის მეოთხე ეტაპი:

ნარატიული და ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზის, მასმედიაში გამოქვეყნებული „მინაარსობრივი ცვლადების“, სავლელ - სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების და საკანონმდებლო ნორმატიული აქტების დამუშავების შედეგად განხორციელდა 1991 წლიდან დღემდე ახალგაზრდული პოლიტიკის საჯარო პოლიტიკურ პრიზმაში გაანალიზება. ქართულ სამეცნიერო შრომებში პირველად მოხდა აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების, სამთავრობო ინსტიტუციების და პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის ურთიერთდამოკიდებულების რეკონსტრუირება.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

ზემოთ მოყვანილი ფაქტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი შეფასება ანალიზი და კატეგორიზაცია იუვენოლოგიური კვლევის საფუძველზეა შესაძლებელი. ეს ეხება იუვენოლოგიის პოლიტიკურ განზომილებას. ახალგაზრდული პოლიტიკის პირველი ეტაპი, როგორც იუვენოლოგიური კვლევის ობიექტი, მეტად მრავალფეროვანი და თავისებურებებით აღსავსეა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ რევოლუციური გამოსვლები თანდათანობით იხვეწება და დებულობს პოლიტიკურ ხასიათს რაც გამოიხატება სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოების დაარსებით, ახალგაზრდობის პოზიციის დაფიქსირებით სახელმწიფოსადმი, ორგანიზაციების შექმნით და სხვა. რადგან ეს პერიოდი გახლავთ ჩანასახი ახალგაზრდული პოლიტიკისა, მას ბევრ დადებით თვისებებთან ერთად უარყოფითიც აქვს. ყველაზე სამწუხარო გარემოება ის არის, რომ სახელმწიფოს მმართველობა ახალგაზრდული

პოლიტიკისადმი ატარებს ჩახშობის პოლიტიკას. ამგვარი პოლიტიკა მუშაობს ახალგაზრდობის წინააღმდეგ. მისი მიზანია ახალგაზრდობის პრივილეგიების შემცირება, ახალგაზრდობას მიაკუთვნებენ საზოგადოებისათვის საშიშ კატეგორიას, ამგვარი პოლიტიკა თრგუნავს ახალგაზრდის სტიმულს და მას გადააქცევს საშიშ ძალად ხელისუფლებისათვის.

ცარიზმის პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა ახალგაზრდობის მიმართ, იყო უარყოფითი, მგარამ ასეთმა ვითარებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდობის თვითშეგნების ჩამოყალიბებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი კვალი დატოვა.

ახალგაზრდული პოლიტიკის მეორე ეტაპი მკვეთრად განსხვავდება მისი წინამორბედისაგან. იგი გამოირჩევა იმ თავისებურებით, რომ აღნიშნული პერიოდისათვის (1918-21წ.წ.) საქართველო გვევლინება დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად და მისი დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი მეტად მნიშვნელოვანია. როგორც დავინახეთ ამ პერიოდის ახალგაზრდულ პოლიტიკაში ძირითადად სამი მიმართულება შეგვიძლია გამოვყოთ -კერძოდ: სტუდენტური და მოსწავლე - ახალგაზრდობის მოძრაობა, ახალგაზრდობის ოპოზიციური ფრთა და მმართველი პარტიის პოზიციების გამომხატველი, ანუ პოზიციური ფრთა. პირველი ეტაპისაგან განსხვავებით მეორე ეტაპის ახალგაზრდული პოლიტიკა უფრო ნაკლებად იყო მოწოდებული აჯანყებების, მანიფესტების, საყოველთაო გამოსვლებისაკენ. არსებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ჩამოუყალიბდათ პოლიტიკური შეხედულებები ამა თუ იმ ქვეყნისათვის საჭირობოროტო საკითხებზე. მათი უშუალო დაპირისპირებები ძირითადად იდეოლოგიური გახდა და ბრძოლის ხერხები ჟურნალ-გაზეთებში გამართული პოლემიკა იყო.

პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი პროგრესი შეინიშნება ახალგაზრდული პოლიტიკის მეორე ეტაპზე, მაგრამ მისი სრულყოფისათვის ბევრი რამ იყო საჭირო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკაში და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ემოციები ნაკლებად ეფექტურია. უნდა შეინიშნოს, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის მეორე ეტაპს, კერძოდ, კი ამ პერიოდის ახალგაზრდობას, ნაკლებად ჰქონდა გათვითცნობიერებული ეს ფაქტი და უჭირდათ პოლიტიკაში ცივი გონებით მოქმედება.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მე-3 ეტაპი მიმდინარეობდა 1921-91 წლებში, ეს ის პერიოდი, როდესაც საქართველო იმყოფება საბჭოთა-სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელმაც დიდი დადი დაასვა ქართული აზრის ფორმირებას და ახალგაზრდობის თვითშეგნების ჩამოყალიბებას. ამ დროს იდევენობა ყოველგვარი ეროვნული იდეები, ხოლო გზა ხსნილი ჰქონდა ისეთ წინადადებებსა და საქმიანობას, რომელიც გამსჭვალული იქნებოდა კომუნისტური და საერთო საბჭოთა მშობის ინტერესების დასაცავად.

ახალგაზრდული პოლიტიკის მე-3 ეტაპი მიეკუთვნება სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას - ეს არის დაცვის პოლიტიკა, რომლის განსაზღვრებაც მოცემულია წინამდებარე დისერტაციის I თავში.

თუ XX საუკუნის დასაწყისში ხელისუფლებების მხრიდან (საბჭოთა კავშირის მაგალითზე) მიმდინარეობდა ახალგაზრდობის იდეოლოგიური მობილიზაცია საკუთარი პოლიტიკური გავლენების გასაძლიერებლად და ახალგაზრდული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ მართულ ძალას, საბჭოთა კავშირმა თავისი იდეოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე, ყველაზე კარგად გაიგო ახალგაზრდობის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის ფენომენი და ყოველმხრივ ცდილობდა თავის რიგებში მის საყოველთაო

მობილიზაციას. XX საუკუნის მიწურულს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასთან ერთად დომინანტური ჯგუფების ძალაუფლებას ლეგიტიმური და ბუნებრივი სახე ეძლევა. დომინანტურ ჯგუფებში ლიდერობას იღებენ ახალგაზრდები, მათ მიერ ფორმირებული ორგანიზაციები და მოძრაობები. სწორედ ახალგაზრდობას სურს ჰეგემონიის დამყარება.

ახალგაზრდული პოლიტიკის მეოთხე ეტაპი:

უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კუთხით გადადგმული ნაბიჯებისა (მხედველობაში მაქვს 1994 წელს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა), სახელმწიფო ინსტიტუციაზე უფრო გავლენიანი ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირების პროცესში იყო მართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთა, სტუდენტური კავშირები და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განმახორციელებელმა ორგანომ (1994 წელი, ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004 წელი - საქართველოს კულტურისა, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, 2006 წელი - სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, 2010 წელი - სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2019 წელი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტის და კულტურის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი, 2019 წელი- სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო) ხშირად შეიცვალა სახე და შინაარსი. ეს მეტყველებს სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდობის საკითხის არაპრობლემატიკულობაზე, რაც ნებისმიერი ქვეყნის მომავლისთვის დამაზიანებელი ფაქტორია. ე.შევარდნაძის

მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული, სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტიტუცია, პრაქტიკულად ანხორციელებდა მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთის დანამატს და რესურსს, რაც მკვეთრად აზიანებს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტიტუციონალურ განვითარებას. ასევე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მრავალი წლების მანძილზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ბუნდოვანია საკითხი თუ რა არის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა.

საქართველოში მიმდინარე სახელმწიფოებრივი მშენებლობის და რეფორმების ფონზე, დღის წესრიგში რეალურად დადგა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ახლებურად გააზრების აუცილებლობა. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც სახელმწიფოს სისტემატური ურთიერთობა პიროვნებასთან, ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდულ მოძრაობასთან, რომელიც ხორციელდება საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო სფეროებზე და რომლის მიზანია შეიქმნას: სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ორგანიზაციული გარანტიები ახალგაზრდობის საკუთარი და სახელმწიფო ინტერესებში ინტელექტუალური, ზნეობრივი, ფიზიკური და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებისათვის.

წინამდებარე კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა, საქართველოში საფუძველი დაუდოს ინტერდისციპლინარულ დარგს, რომელსაც ვუწოდებთ იუვენოლოგიას. კვლევის შედეგად მოხდა ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემატიზაცია, იუვენოლოგიის საზოგადოებრივი პოლიტიკის ერთიან ჭრილში განხილვა. შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ჰოლისტური განვითარებისთვის.

დასკვნა - რეკომენდაციები

ახალგაზრდა თაობა, როგორც ქვეყნის გენოფონდი, ერთ-ერთი ძირითადი ადამიანური რესურსი, სოციალური გარდაქმნების, ეკონომიკური განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის ძირითადი გამტარებელი, ყოველთვის იყო და იქნება ნებისმიერი დემოკრატიული და, რა თქმა უნდა, ჩვენი სახელმწიფოს ყურადღებისა და ზრუნვის საგანი. თუმცა თვით ამ ზრუნვა-ყურადღების პრაქტიკული რეალიზაცია მხოლოდ პოლიტიკურ ნებასა და დეკლარირებაზე არ არის დამოკიდებული.

პერიოდი, როდესაც სახელმწიფოს დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ იყო ზედამხედველობითი და მეურვეობაზე დაფუძნებული, ცივილიზებულ სამყაროში უკვე გავლილია. ამჟამად საერთაშორისო-დემოკრატიული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით, სახელმწიფოს დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ უნდა მდგომარეობდეს თავისუფალი არჩევანის, ინიციატივის, აქტიური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ქმედების ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნაში. ევროპული ალტერნატივებიდან ეს არის მონაწილეობის პოლიტიკა, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი და მისაღები ვარიანტია.

ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნა გაააქტიურებს ახალგაზრდობის თვითდაცვითი მექანიზმების ამოქმედებისა და სწრაფად ცვალებადი კრიტიკული სიტუაციებისადმი ადაპტაციას. ახალგაზრდების ხელშემწყობი პირობები და გარემო შეიცავს თავის თავში ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა დონესა და სფეროში. ამ გზით შესაძლებელი იქნება მჭიდრო კავშირების დამყარება ერთი მხრივ, მოზარდებსა და ახალგაზრდებს და მეორე მხრივ, ახალგაზრდებსა და უფროს თაობას შორის. გარდა ამისა, ისინი

შეიძენენ როგორც მართვის, ასევე საზოგადოების საქმიანობის გამოცდილებას და ამალდება მათი პასუხისმგებლობაც. ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნა-სრულყოფა მუდმივი პროცესია, რომლის განხორციელება ნაწილობრივ დაწყებულია.

დღეისათვის უნდა ვიცოდეთ რა აწუხებთ ახალგაზრდებს, რომელია მათი ყველაზე მტკივნეული პრობლემები, რა სურთ, როგორია მათი ხედვა, ასევე მნიშვნელოვანია სპეციალისტებისა და საზოგადოების შეხედულებები ახალგაზრდების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და შეჯერება ახალგაზრდების აზრთან. აქ იქნება შესაძლებელი დადგენა პრიორიტეტული მიმართულებისა მიზანმიმართული ქმედებისათვის. ამ პოზიციაზე დგომა გულისხმობს უცილობელ კვლევასა და რეკომენდაციების საფუძველზე დაყრდნობით ქმედებას.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ახალგაზრდობას ეს ყურადღება გარკვეულად დამსახურებული აქვს. უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში, მიუხედავად კომუნისტური მმართველობის პერიოდის სირთულეებისა, არ ყოფილა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მცირე თუ ბევრად მნიშვნელოვანი მომენტი, სადაც ახალგაზრდობას თავისი, ხშირად გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვამო.

თუმცა აქვე შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ საჯარო პოლიტიკური და განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის კარდინალურმა ცვლილებებმა, არაერთი პრობლემა გააჩინა, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს სწორედ ახალგაზრდობას. ღირებულებითი ორიენტაციების გადაფასება, ცხოვრების საზრისში გარკვევის სირთულეები, უიმედობა და გარკვეული ინდიფერენტიზმი, დანაშაულებრივი და სხვა ასოციალური ქცევების მოძალემა,- დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ესეც დღევანდელი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ერთგვარი მახასიათებელია. საზოგადოების ძველი დოგმებისაგან, ნეგატიური ტენდენციებისა და ყალბი

ღირებულებებისაგან რევოლუციური განთავისუფლება არ ნიშნავს, რომ ახალი პირობები ავტომატურად წარმოშობენ საზოგადოების განვითარების პოზიტიურ ტენდენციებს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ მიხედვით შეიქმნას ისეთი განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც არ იქნება თავსებადობის პრობლემა, კრიტერიუმები იქნება გაზომვადი. მონიტორინგი იქნება მკაფიო და პერიოდული. დარგში მომუშავე კადრს და პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს გათავისებული ექნებათ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა, რაც, სამწუხაროდ, დღემდე დიდ პრობლემად რჩება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, თვით ახალგაზრდების ძალებით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოში დღეისათვის რეგისტრირებული რიგი საბავშვო და ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამონაწილეობით, რომლებსაც შეუძლიათ რეალური პროგრამების განხორციელება, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის მხარდაჭერით, სამეცნიერო წრეების აქტიური ჩართულობით, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა.

სახელმწიფომ უნდა გაიაზროს, ახალგაზრდობა - ეს არის პრობლემა, თუ ეს არის რესურსი. წინამდებარე კვლევამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობა არის ძლიერი რესურსი ქვეყნის განვითარების პროცესში.

ვფიქრობთ, ახალგაზრდული პოლიტიკის მეცნიერული უზრუნველყოფის კოორდინაციის მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან

ჩამოყალიბდეს იუვენოლოგიის სამეცნიერო საბჭო, რომელიც აწარმოებს ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებს და შეიმუშავებს დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან რეკომენდაციებს.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია საქართველოს ხელისუფლების მიერ გათვალისწინებულ იქნეს ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და შეიქმნას ახალგაზრდობის ობმუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ხელს შეუწყობს იმ პროცესების მონიტორინგს და ინსტიტუციონალურ განვითარებას, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკის მიმართულებით.

ნაშრომით გათვალისწინებულმა კვლევამ, კვლევის მეთოდოლოგიით განსაზღვრულმა ნაბიჯებმა ნათლად დაგვანახა ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუციების თანამიმდევრული და პრიორიტეტული დამოკიდებულება იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილებისადმი, რათა თანხვედრაში იყოს ახალგაზრდობის ღირებულებები, სოციალური და პოლიტიკური ასპექტები სახელმწიფოს მიდგომებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჯარო პოლიტიკის სფეროში ახალგაზრდული პოლიტიკა გამოხატულია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. საჯარო პოლიტიკის სფეროში ახალგაზრდული პოლიტიკის არსებობა გარჩევადია, გვაქვს ახალგაზრდული პოლიტიკური მობილიზაციის ისტორიული და თანამედროვე მაგალითები. იუვენოლოგიური კვლევები, გარდა ახალგაზრდული პოლიტიკისა, სხვა სფეროებზეც ახდენს გავლენას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ როგორც ახალგაზრდობის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, ასევე, საკუთრივ

პოლიტიკური პროცესების მიმართება ახალგაზრდებთან უნდა იყოს მუდმივ კორელაციაში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იუვენოლოგია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საჯარო პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგი. ეს არის დარგი ახალგაზრდობის შესახებ, იგი შეისწავლის ახალგაზრდობას, როგორც სპეციფიკურ ფენომენს, რომელიც სხვა მეცნიერებათა დარგების გზით ვერ აღწერს იმ პრობლემებს, რაც საკუთრივ ამ დარგისათვის არის დამახასიათებელი. ჩვენი მეთოდოლოგიური დაკვირვება ამ შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ ახალგაზრდობის ფენომენი საკუთარ თავში იქნა დანახული და გამოკვლეული. ამ თვალსაზრისით ჩვენ ავიღეთ ზუსტად ახალგაზრდობის პოლიტიკური განზომილება, რადგანაც ჩვენი თვალსაზრისით პოლიტიკაში ჰპოვებს კონცენტრაციას ის პრობლემები, რომლებიც საკუთრივ ახალგაზრდობას ეხება. იუვენოლოგია ასაკის სოციალურ ფენომენზე ამახვილებს ყურადღებას, როგორც სერიოზული ცხოვრების დაწყების პრელუდიას. იუვენოლოგია, როგორც საჯარო პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგი, კომპლექსურად ხედავს პრობლემას გამოყოფს ფენომენი, როგორც დამოუკიდებელი მოვლენა. არსობრივად ეს არის მთელი სოციალური კომპლექსური სხეულის შემადგენელი და ძირითადი კომპონენტი, რომელიც მოითხოვს განცალკევებულ დაკვირვებას და აქედან გამომდინარე იუვენოლოგია, როგორც თეორიული ასპექტი, დარგობრივ საკითხად უნდა იქნას გააზრებული მსგავსად პოლიტიკური სოციოლოგიის, გერონტოლოგიის და ა.შ. იუვენოლოგია ეს არის ცალკე ავტონომიური ფენომენი, დარგის ავტონომიურობა მოითხოვს საკუთარ თავში პრობლემურ ექსპლიკაციას, იმდენად, რამდენადაც სხვა დარგები ფრაგმენტულად გასცემენ პასუხს ახალგაზრდობის პრობლემების საკითხს, ამიტომ ისინი ვერ მოიცავენ ამ ფენომენის კომპლექსურ, მრავალფაქტორიან ანალიზს. ეს არ იქნება კონცენტრირებული ახალგაზრდობის ირგვლივ. აქედან გამომდინარე, კვლევითი მეთოდოლოგიების

საფუძველზე ნაშრომში შევეცადეთ აგვეხსნა, იუვენოლოგიის, როგორც ცალკე დარგის, დაფუძნების შესაძლებლობა.

იუვენოლოგიის პოლიტიკურ განზომილებაში მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე უკეთესად არის დახასიათებადი და დანახვადი პრობლემები. პოლიტიკური განზომილება, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკაში მონაწილეობა, ასევე საკუთრივ ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფო საზოგადოების განვითარებისა და საჯარო სივრცის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენს, რადგან მათ უნდა შექმნან საზოგადოების მომავალი. ახალგაზრდობის პოლიტიკური მობილიზაცია არის ყველაზე მაღალი ხარისხის და ამას იყენებს თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა. ახალგაზრდობა ფაქტობრივად არის ის ძალა, რომელიც მაგალითად ამა თუ იმ პრობლემების გადაწყვეტას პოლიტიკურ ავანსცენაზე უკეთესად აჩვენებს. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, ასე იყო დასავლეთის ქვეყნებში, ასე იყო ადრეულ პერიოდში და ეს კვლავ გრძელდება როგორც მისი პოზიტიურად, ასევე ნეგატიურად გამოყენებაც. იუვენოლოგია ფაქტობრივად პოლიტიკურ განზომილებაში ყველაზე უკეთესად კონცენტრირდება.

კვლევის შედეგად შეგვიძლია იუვენოლოგია მოვიაზროთ როგორც საჯარო მმართველობის ერთ-ერთი დარგი, რადგან ჩვენ მიერ გამოყოფილი პრობლემები უკვე ახალგაზრდობის პრობლემების ცალკე განხილვას მოითხოვს. ამ შემთხვევაში უკვე საჯარო მმართველობის კუთხით უნდა გაეცეს პასუხები ამ პრობლემათა მთელ ციკლს, რომ შეიძლება მაგალითად პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, გარკვეული თვალსაზრისით ბიოლოგია, ფიზიოლოგია, - ყველაფერი ესენი სცემენ ნაწილობრივ პასუხს, მაგრამ ამ პრობლემის კონცენტრაციას ვერ ახდენენ. საჯარო მმართველობამ უკვე თავი უნდა მოუყაროს და გადაწყვიტოს თუ როგორ უნდა გადაწყდეს კომპლექსურად ეს პრობლემები და როგორ უნდა განხორციელდეს საჯარო მმართველობის კონცეფციიდან გამომდინარე ამ პრობლემათა განხილვა და მართვა, რადგან ამ

პრობლემების მართვის გარეშე მიშვება, ფაქტობრივად, პრობლემების გვედზე დატოვებას ნიშნავს. ეს ნიშნავს, მაგალითად, დემოგრაფიულ პრობლემას, ოჯახების შექმნის პრობლემას, ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩართულობის პრობლემას, მომავალი კარიერების დაგეგმვის პრობლემას, მათი განათლების პრობლემას. ეს უკავშირდება კომპლექსურ პრობლემებს, რომელიც იწყება სასკოლო ასაკიდან და გრძელდება თითქმის ზრდასრულობის ასაკამდე, როდესაც ისინი უკვე წარმოგვიდგებიან გარკვეულ თანამდებობებზე, ბიზნეს და სამედიცინო ელიტაში და ყველანაირ განზომილებაში. შესაბამისად, პრობლემას სჭირდება კომპლექსური დანახვა, სადაც საჯარო მმართველობის სივრცეში უკვე ჩვენ მოგვცემს გარკვეული ტიპის სტრატეგიების ჩამოყალიბების საშუალებას.

